ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4254685

ნომერი: AR1641929

თარიღი : 05.11.2018

გაცემის თარიღი : 08.11.2018

გაცნობის თარიღი : 09.11.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 38;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ლელუაშვილი პ/ნ 01019018501
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 7 ბ. 43

ორგანიზაცია:

- შპს მაგისტრალმშენი კოდი: 200074542

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. "მოთხოვნის შინაარსი -> ..მოთხოვნის ტექსტი" - მოთხოვნის ტექსტში შეცვლეთ საპროექტო ობიექტის სამშენებლო/მოსაპირკეთებელი მასალა, კერძოდ ფოტომონტაჟზე მითითებულია ლითონის კონსტრუქცია, ხოლო მოთხოვნის ტექსტში თუნუქის გოფრირებული ფურცლები, რაც წინა განაცხადით გქონდათ მიწერილი და რაზეც უარი გეთქვათ. მოთხოვნის ტექსტი მოიყვანეთ ფოტომონტაჟთან შესაბამიობაში. ასევე, უფრო ვრცლად დააკონკრეტეთ რა ტიპის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიეტის განთავსება გსურთ.

2. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : თქვენს მიერ ატვირთულია ძველი, 19.10.2018 წ. AR1638622 განაცხადზე ატვირთული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა. უნდა ატვირთოთ ახალი დღეის მდგომარეობით, სხვადასხვა ხედიდან გადაღებული არსებული სიტიუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადღების თარიღი და ნათლად გამოჩნდება ირგვლივ არსებული სიტუაცია, მათ შორის არსებული №3/1 შენობაც და გაითვალსწინეთ, რომ თუ №3/1 შენობაზე საპროექტო შენობის მხარეს ღიობები ექნება, მაშინ საპროექტო შენობასა და არსებულ №3/1 შენობას შორის დაცული უნდა იქნას 3-3- მეტრიანი წარმოსახვითი მიჯნის ზონა, ასევე დაიტანეთ წარმოსახვითი საზღვარი.

3. "ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი" - თუ რეკლამის შინაარსი გადაწყვეტილი არა გაქვთ, მაშინ მხოლოდ წარწერა "სარეკლამო ადრის შუბლი" ამოღებული იქნას ფოტომონტაჟიდან , თვითონ შუბლი დატოვეთ მონტაჟზე. რეკლამის შინაარსის დაზუსტების შემდგომ ცალკე დააყენეთ საკითხი და შეავსეთ შესაბამისი ველები.

4. ესკიზური ნახაზის მიხედვით საპროექტო შენობა/ნაგებობა სცდება I კლასის მახასიათებლებს: გაითვალისწინეთ: I კლასის მახასიათებლებია: 5,0 მეტრამდე მალის, 60 კვმ-მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ–მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირზე საშუალოდ 2მ–მდე ჩაღრმავების მქონე შენობა. მოიყვანეთ კანონთან შესაბამისობაში და შესაბამისად შეასწორეთ დოკუმენტაცია.

5. განმარტეთ ეხება თუ არა დაგეგმილი სამუშაოები სარგებლობით გაცემულ ფართებს, თუ ეხება საჭიროა წარმოადგინოთ მათი თანხმობები, ასევე შესაძლებელია განახლდეს ამონაწერი და მათი სარგებლობა აღარ ფიქსირდებოდეს, ვინაიდან სარგებლობა ვადაგასულია.

6. გარდა ამისა, საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილი ყვება გეოსაშიშ წყალდაცვით ზონაში, რისთვისაც წარმოსადგენი იქნება გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტოს თანხმობა მონიშნულ ტერიტორიაზე I კლასის შენობა/ნაგებობის განთავსების თაობაზე

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში

განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.